დამტკიცებული
შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის
2023 წლის 13 სექტემბრის ბრძანება N 00009077

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

მარნეული
2023

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის (შემდგომში - წესი) მიზანია შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.
2.წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტისა და განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე.

მუხლი 2. სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები

1. კოლეჯს ჰყავს დასუფთავების თანამშრომლი, რომლის მოვალეობაა კოლეჯში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სისუფთავის და სანიტარულ– ჰიგიენური ნორმების დაცვა;
2. კოლეჯის ყველა ოთახში, ფოიეში, ლაბორატორიებში დაცული უნდა იყოს სამაგალითო წესრიგი და სისუფთავე.
3. მთლიანი ფართის დალაგება-დასუფთავება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად, სველი წესით, ღია ფანჯრებისა და ფრამუგების პირობებში, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ.
4. იატაკი უნდა ირეცხებოდეს ყოველდღე .
5.ავეჯი, რადიატორი, ფანჯრის რაფები სველი ტილოთი უნდა გაიწმინდოს.
6.თუ სასწავლო პროცესი მიდის ორ ცვლაში, მაშინ სასწავლო ოთახების დასუფთავება უნდა მოხდეს დღეში ორჯერ.
7. შენობის სველი წესით დასუფთავება უნდა ხდებოდეს სარეცხი საშუალებების გამოყენებით (საპონი, კალცინირებული სოდა, სინთეზური სარეცხი საშუალებები) ღია ფანჯრებისა და ფრამუგების პირობებში.
8.მთელი შენობის განერალური დალაგება-დასუფთავება უნდა ჩატარდეს ყოველი მეოთხედის ბოლოს და ეპიდჩვენების მიხედვით;
9.საპირფარეშოებში იატაკი, უნიტაზები, უნიტაზის დასაჯდომი, ჩასარეცხი ავზისა და კარების სახელურები უნდა გაირეცხოს დღეში ორჯერ ცხელი წყლით და სარეცხი სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით მათ ეტიკეტზე მითითებული რეკომენდაციების შესაბამისად.
10.ლაქების მოსაცილებლად თვეში 2-ჯერ უნდა გაირეცხოს შესაბამისი პრეპარატით.
11. საპირფარეშოს დასალაგებელ ინვენტარს (ტილოები, ჯაგრისები, ვედროები) უნდა ჰქონდეს განსხვავებული ფერი და უნდა ინახებოდეს სპეციალურ კარადაში.
12.სანიტარული კვანძები, მუდმივად მარაგდებოდეს წყლით,ჰქონდეს უწყვეტი განათება, ვენტილაცია და უზრუნველყოფილი იყოს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობებით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
13.მაგიდები და სკამები სასწავლო ოთახში დასუფთავდეს სველი ტილოთი, ხოლო ეპიდჩვენებისას წმენდა უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად სადეზინფექციო საშუალებებით.

მაგიდები და სკამები უნდა გაიწმინდს 1%-იანი ქლორის ხსნარით, შემდეგ ცხელი წყლით და გამშრალდეს.
14.შენობაში შესასვლელთან უნდა იყოს ,,ხვეტიები,, რომელიც გაიწმინდოს ყოველ დღე.
15. ყველა ინვეტარი ხმარების შემდეგ უნდა ირეცხებოდეს ცხელი წყლით და სარეცხი საშუალებებით. სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები უნდა ინახებოდეს დახურულ კარადაში.
16.ფანჯრები იწმინდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ორჯერ მაინც.
17.სპეციალიზებული სამსახურის მეშვეობით, ჩატარდეს საწყობებისა და სარდაფების პერიოდული დამუშავება მწერებისა და მღრღნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია).
18.ყოველდღიურად განხორციელდეს მყარი ნარჩენების შეგროვება ოთახებში და მათი გატანა შენობიდან;

მუხლი 3. დასკვნითი დებულება

1.სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით
2. წინამდებარე წესში ცვლილებები ხორციელდება დირექტორის ინდივდუალურ სამართლებრივი აქტის საფუძველზე.